



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

ზოგადი ინფორმაცია:

სახელწოდება: შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია;
სახე: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქუჩა №46
საფოსტო ინდექსი: 0186
ტელეფონი: +995 (322) 36 91 60

ფაქსი: +995(322) 31 66 71

ოფიციალური საიტი: www.usgeorgia.edu.ge

ელექტრონული ფოსტა: info@usgeorgia.edu.ge

რექტორი: Ichovelidze@usgeorgia.edu.ge
liachovelidze@hotmail.com

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო
პროგრამაზე საკონტაქტო პირი

მერაბ მიქელაშვილი
აფილირებული პროფესორი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

საკონტაქტო ინფორმაცია

მობ: (+995) 599558355
ელ.ფოსტა - mmikelashvili@usgeorgia.edu.ge



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კრედიტების აღიარების წესები, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული პირობები გაწერილია უს ჯორჯიას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რაც ხელმისაწვდომია უს ჯორჯიას ადმინისტრაციულ ერთეულებში და განთავსებულია ვებგვერდზე: www.usgeorgia.edu.ge

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა გათვლილია 8 სემესტრზე (ოთხ აკადემიურ წელზე) თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა 21 კვირაა

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ESTS) კრედიტს

ერთი კრედიტი (ESTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისათვის



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

(მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ESTS) კრედიტს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის, ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამის საბოლოო შედეგები მიიღწევა საბაკალავრო პროგრამით გაწერილი სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, დაცვა და საწარმოო პრაქტიკის გავლა.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია ბოლონის პროცესით დეკლარირებულ მოთხოვნებზე და აკუმულირდება სწავლების ხარისხის შეფასებების კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულობაზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საბაკალავრო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) და არჩევითი/თავისუფალი სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში.



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს

- სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 180 კრედიტი, მათ შორის:
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 კრედიტი
- ინგლისური ენის კომპონენტი (I-IV) - 20 კრედიტი
- ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები (აკადემიური წერა, ინფორმატიკა) – 10 კრედიტი
- საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი – 10 კრედიტი
- საბაკალავრო ნაშრომი - 20 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 60 კრედიტი, მათ შორის:
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - სავალდებულო 30 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები (მეტყველების კულტურა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფილოსოფია, იმიჯოლოგია) - სავალდებულო 10 კრედიტი
- თავისუფალი სასწავლო კურსები - სავალდებულო 20 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტები (120 კრედიტი) ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს ფუნდამენტური ცონდა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს განვითარების თავისებურებების, ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპებისა და თეორიების შესახებ. უზრუნველყოფს ბიზნესის ყველა დეტერმინანტის - მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯერული და საფინანსო აღრიცხვის კომპლექსურ ცოდნას, შეძენილი ცოდნის საფუძველზე პროფესიული მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გამომუშავებას.
- ინგლისური ენის კომპონენტი (20 კრედიტი) ორიენტირებულია ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში გამოყენებაზე და ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე. კერძოდ, იგი უზრუნველყოფს ენების საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ განსაზღვრული ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი უნარ-ჩვევების დაუფლებასა და ენის ასპექტების ცოდნასა და აქტუალიზაციას, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას.
- ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (10 კრედიტი) ორიენტირებულია წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენების უნარის გამომუშავებაზე.
- საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება.

- საბაკალავრო ნაშრომი (20 კრედიტი) ორიენტირებულია თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი (სავალდებულო 30 კრედიტი) ორიენტირებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ფართო ცოდნის სტუდენტის ინტერესების შესაბამისი კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებაზე.
- არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი (სავალდებულო 10 კრედიტი) ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოვებაზე და ღირებულებათა ფორმირების პროცესის ხელშეწყობაზე.
- თავისუფალი სასწავლო კურსების კომპონენტი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად, ყოველგვარი ფორმალური გამაერთიანებელი სქემის გარეშე, აირჩიოს ცალკეული სასწავლო კურსი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის დიაპაზონის გაფართოვებას და ინგლისურ ენაზე დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით კომუნიკაციის წარმართვას საქმიანი ურთიერთობების პროცესში.

შენიშვნა:

1. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა; შეთავაზებული 15 (თხუთმეტი) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი 6 (ექვსი) სასწავლო კურსი (30 კრედიტი);
2. შეთავაზებული 4 (ოთხი) საერთო არჩევითი სასწავლო კურსიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი 2 (ორი) სასწავლო კურსი (10 კრედიტი);
3. თავისუფალი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, შეთავაზებული სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობისა და შეთავაზების სემესტრის (შემოდგომის, გაზაფხულის) გათვალისწინებით.



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

პროგრამის შესაბამისობა ფაკულტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ ამოცანებთან

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მისიის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი და საშუალო რგოლის სისტემურად და სტრატეგიულად მოაზროვნე სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც მუდმივად ცვალებად გარემოში ექნებათ ეფექტური მართვისა და განვითარების უნარი. ამავდროულად, ბიზნესის კონცეპტის და ინოვაციური მენეჯმენტის გააზრების საფუძველზე ისინი შეძლებენ სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესის შექმნას და ორიენტირებული იქნებიან კარიერულ განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვა უზრუნველყოფს სწავლების რესურსების ადეკვატურ განაწილებას, სამომავლო პერსპექტივების ჩამოყალიბებას და მიმდინარე პროცესების შეფასებას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვა განისაზღვრება, როგორც შეგნებული პროცესი, რომლითაც იგი შეაფასებს პროგრამის მდგრად, სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სასწავლო პროცესების ოპტიმიზაციას.

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას მისიაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია, სწავლისა და სწავლების, უწყვეტი განათლების, ინდივიდის პიროვნული, პროფესიული და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია ორიენტირებულია განახორციელოს აკადემიური უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამები, მოამზადოს შრომის ბაზრისათვის ფუნდამენტური ღირებულებებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრები.

ხედვა

უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია ქმნის აკადემიური თავისუფლების პრიმატს, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრესს. იგი ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და ინოვაციურ გარემოში ჩართულობის პროცესს. უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით ორიენტირებულია განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციაზე, სოციალიზაციის პროცესზე. უმაღლესი სასწავლებელის უმთავრესი ხედვაა განათლების ხარისხის მუდმივი ამაღლების პოლიტიკის შემუშავება და მართვის თანამედროვე მეთოდების ფართო გამოყენება.



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

ღირებულებები:

ღიაობა

- ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობის პროცესს სხვადასხვა ღონისძიებასა, პროექტებსა თუ კონფერენციებში აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთა თანამონაწილეობით.

ჩართულობა

- პროგრამის განმახორციელებლებისა და სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩართულობა და განხორციელებული ერთობლივი აქტივობები, რომლებიც თავისთავად განაპირობებს სტუდენტთა მომავლის რაციონალურად დაგეგმვას.

ინტერნაციონალიზაცია

- უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირება და თანამშრომლობა.

პროგრესულობა

- ბიზნესის ყველა ფუნქციური სფეროსა და მათი კონცეპტუალური ჩარჩოების შესახებ ინტერდისციპლინარული ცოდნის განვითარება უზრუნველყოფს საფუძვლიან განათლებას, რომელიც პასუხობს დამსაქმებელთა მოთხოვნებს კონკრეტული დარგობრივი კომპეტენციებისათვის.

ფაკულტეტის სტრატეგია:

ა) სტუდენტებისთვის და ფაკულტეტზე დასაქმებული პერსონალისთვის სასწავლო გარემოს შექმნა;

ბ) სტუდენტის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების შეთავაზება - განხორციელება;

გ) მოქნილი მენეჯმენტის დანერგვა და ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგი;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი გაუმჯობესებისა და სრულყოფის გზების დასახვა;

ე) მთელი სიცოცხლის მანძილზე უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პროგრამების /კურსების შექმნა და განხორციელება;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის სწავლის პირობების



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

შექმნა;

ზ) თანამშრომლობა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ასევე, უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ინტერნაციონალიზაციის მიზნების რეალიზაციისათვის;

თ) სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ი) სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობა;

კ) თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის, მათ შორის პერიოდული სამეცნიერო გამოცემების და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის ხელშეწყობა;

ლ) რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებაში მონაწილეობა;

მ) სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსების, ტრენინგების უზრუნველყოფა.

პროგრამის აქტუალობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის რეპრეზენტატულმა შეფასებამ გამოკვეთა პროგრამის აქტუალობა შრომით ბაზარზე. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას მიერ ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს ბიზნესისთვის/დამსაქმებლისათვის ინოვაციური ინსტიტუციური კავშირების შეთავაზება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის. ამ მიზნით, კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს, როგორც დარგობრივი ცოდნა, ასევე მეტაკოგნიციური უნარები, ანუ ინდივიდის მიერ იმის გაცნობიერება, თუ რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია და რა სჭირდება მიღებული ცოდნის გაფართოებისათვის. შრომის ბაზრის ამ გამოწვევების გადაჭრა დროს მოითხოვს, თუმცა, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და განსახორციელებელი ღონისძიებების დასახვა პრიორიტეტულ პრობლემად უნდა გამოცხადდეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყოველწლიურად იზრდება აბიტურიენტთა განაცხადების რაოდენობა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2017 წლის შედეგებით, აბიტურიენტთა განაცხადებმა ამ პროგრამაზე მეორე ადგილი დაიკავა ჰუმანიტარული მეცნიერებების შემდეგ^{1 2 3 4}. მეორე მხრივ, საგულისხმოა ის, რომ შრომის ბაზარზე

¹ <https://on.ge/about>



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

ბიზნესის ადმინისტრირება ყველაზე მოთხოვნად და წარმატებულ მიმართულებად სახელდება^{5 6}. დამსაქმებელთა ინტერესის კვლევისთვის ასევე შევისწავლეთ ინტერნეტ სივრცეში განთავსებული [ვაკანსიები](#), რომელთა ძირითად მოთხოვნასაც წარმოადგენდა უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით. დაკვირვების პერიოდში, რომელიც მოიცავდა 27.02.2018 - 01.03.2018 პერიოდს, გამოიკვეთა, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოთხოვნადია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე სამუშაოს მაძიებელი.

პროგრამის მიზანი

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, არის გაზომვადი და რეალისტური.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია წარმატებულ კარიერაზე ორიენტირებულ თაობას შესთავაზოს ინოვაციური ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, რათა კურსდამთავრებულებმა შესაბამისი უნარების განვითარებით შესძლონ დასაქმება და შრომითი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხით, რომლებიც შეძლებენ ჩაერთონ ბიზნეს-პროცესებში, დასაქმდნენ მულტინაციონალურ კორპორაციებში, ორგანიზაციებში და ასევე შეძლებენ შექმნან და მართონ საკუთარი ბიზნეს-სტრუქტურები შეძენილი ცოდნის რეალიზების საფუძველზე.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ბიზნესის ყველა ფუნქციური სფეროს შესწავლა სხვადასხვა სასწავლო კურსების სწავლების გზით ხორციელდება. სასწავლო პროგრამა მრავალფეროვანია და ფოკუსირებულია ბიზნესის გარემოს მულტიდისციპლინარული ცოდნის გამოყენებაზე.

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია დამსაქმებლების საჭიროებებზე რადგან შრომითი ბაზარი გახდა უკიდურესად კონკურენტუნარიანი.

² <http://www.ttimes.ge/archives/83660>

³ <http://www.ambebi.ge/article/94368-5-qvelaze-motxovnadi-propesia-sakartveloshi/>

⁴ <https://sputnik-georgia.com/georgia/20150825/228390280.html>

⁵ <https://bpn.ge/biznesi/13968-shromith-bazarze-yvelaze-mothkhovnadi-profesiebi.html?lang=ka-GE>

⁶ <https://bpn.ge/analizi/8727-10-yvelaze-mothkhovnadi-profesia-saqarthveloshi.html?lang=ka-GE>



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

კომპეტენციებით აღწერილი პროგრამის მიზნები

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს:

დარგობრივი ცოდნა

- მისცეს ფუნდამენტური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების განვითარების თავისებურებების შესახებ, კომპანიების ეფექტიანი მართვის კომპლექსური თეორიებისა და ფულად-საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობებათა სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებზე.

დარგობრივი უნარები

- შესძინოს პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო ზოგადი/ტრანსფერული უნარები;
- გამოუმუშაოს ბიზნესის ადმინისტრირების დომინანტი პარადიგმების იდენტიფიცირებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- შესძინოს ფინანსების, კორპორაციული ფინანსებისა და ფინანსური ინდიკატორების განმსაზღვრელი კრიტერიუმების შეფასებისა და ფინანსების მართვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევის უნარები პრობლემების გადასაჭრელად;
- უზრუნველყოს სწავლის პერიოდში დაგროვებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მცირე ფორმატის კვლევითი სამუშაოს ჩატარება (საბაკალავრო ნაშრომი) და საწარმოო პრაქტიკის კურსის გავლა.

ზოგადი უნარები

- გამოუმუშაოს ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენებზე (B2 დონეზე) მოძიების, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების და ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე საფინანსო და ფისკალური სექტორების საქმიანობის შესახებ მონაცემების განზოგადების და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშაოს სწავლისა და ცოდნის განახლების შეფასებისა და შემდგომი საჭიროებების დადგენის უნარი;
- გამოუმუშაოს კორპორაციული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და ნორმების გათვალისწინებით პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის უნარი.



პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურის საფეხურზე ან/და დასაქმდეს პროფესიით და დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნები.

დარგობრივი ცოდნა

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

- განსაზღვროს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი თეორიებისა და პრინციპების კომპლექსური საკითხები.

დარგობრივი უნარები

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

- პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ტრანსფერული უნარების რეალურ გარემოში გამოყენება; სფეროსათვის დამახასიათებელი ამოცანების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენება;
- ბიზნესის ადმინისტრირების ყველა მდგენელის - მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, გარემოს, კორპორაციული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფულისა და ფულად-საკრედიტო სისტემის, საფინანსო აღრიცხვის, რისკების მართვის და დაზღვევის, საგადასახადო რეგულირების პრაქტიკული საკითხების ანალიზი;
- კორპორაციული ფინანსების და ფინანსური ინდიკატორების განმსაზღვრელი კრიტერიუმების შეფასება, ფინანსების მართვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა და მათი პრაქტიკაში გამოყენება;
- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

ზოგადი უნარები

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

- კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე (B2 დონეზე), ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენებზე მოძიება და ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საფინანსო და ფისკალური სექტორების საქმიანობის ანალიზი, შეფასება და



დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

- ბიზნესის განვითარების ტენდენციების შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა;
- ეთიკურ და სოციალურ ფასეულობათა შეცნობა და თანამედროვე ბიზნესის სფეროში მოქმედი პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს (შუალედურ გამოცდას და მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);
- დასკვნითი გამოცდას
- სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია
- დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100%
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (F_x) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება მიმდინარე სემესტრში
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: პრაქტიკული აქტივობა და შუალედური გამოცდა, თითოეულს აქვს პროცენტული წილი შეფასების სისტემაში; 100 ბალიანი სისტემიდან შუა სემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს სასწავლო კურსის სილაბუსში შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების შინაარსს, ხვედრით წილს, შეფასების კრიტერიუმებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება სილაბუსში ჰქონდეს შეფასების განსხვავებული კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების კრიტერიუმები

“A” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ყოველმხრივი, ღრმა ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული ყველა დავალება, აითვისა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, დამოუკიდებლად მოიძია ცოდნის გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროები;

“B” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ღრმა ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების ძირითადი ნაწილი და ასევე აითვისა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

“C” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის სრული ცოდნა და წარმატებით შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებები და ასევე აითვისა სასწავლო კურსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა;

“D” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ცოდნა იმ მოცულობით, რაც საკმარისია შემდგომი სწავლისათვის; თავი გაართვა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას, იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას, უნარი შესწევს ამ ცოდნის დამოუკიდებლად შევსება-განახლებისა; გამოამჟღავნა შესწავლილი მასალის თეორიული ცოდნის გაცნობიერების და გამოყენების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები;

“E” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის არასრულყოფილი ცოდნა, უმწეოდება სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების შესრულება, სრულად არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ძირითადი ლიტერატურას, გაუმწეოდება დამოუკიდებლად მუშაობა, გამოამჟღავნა შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საშუალო დონე;

“Fx” თუ სტუდენტმა გაწეული ძალისხმევით მიუხედავად ვერ დააკმაყოფილა სასწავლო კურსის დაუფლებისათვის სავალდებულო მოთხოვნები, ვერ გამოამჟღავნა სასწავლო-საპროგრამო მასალის ცოდნა, დაუშვა არსებითი შეცდომები სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების შესრულების დროს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეკომენდებულ ლიტერატურაზე, მაგრამ იგი, ინტენსიური მეცადინეობის შედეგად მოკლევადიან პერიოდში შესძლებს დადებითი შეფასების მიღებას;



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

“F” თუ სტუდენტს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სასწავლო კურსის შინაარსზე, არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალასა და ძირითად ლიტერატურას, არ შესწევს უნარი დამოუკიდებელი მუშაობით დაეუფლოს დისციპლინას და საჭიროებს სასწავლო კურსის თავიდან შესწავლას.

სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები

სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ა) საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - სასწავლო კურსის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს ამ წესით დადგენილ შემდეგ ოდენობებს:

- პრაქტიკული მეცადინეობების/აქტივობების 40 ქულიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 20 ქულა;
- შუალედური გამოცდის 20 ქულიდან დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 11 ქულას;
- დასკვნითი გამოცდის 40 ქულის მინიმალურ სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 20 ქულას.

ბ) საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - პრაქტიკის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს ამ წესით დადგენილ შემდეგ ოდენობებს:

- შუალედური შეფასების/პრაქტიკული აქტივობების 60 ქულიდან დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30 ქულას;
- დასკვნითი შეფასება/პრაქტიკის დაცვის 40 ქულის მინიმალური სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 21 ქულას.

გ) საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - საბაკალავრო ნაშრომის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს ამ წესით დადგენილ შემდეგ ოდენობებს:

- შუალედური შეფასების 60 ქულიდან დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30 ქულას;
- დასკვნითი შეფასება/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის 40 ქულის მინიმალური სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 21 ქულას.

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიაში დამტკიცებული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების თითოეულ



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

ფორმაში/კომპონენტში დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, ის მოიხსნება სასწავლო კურსიდან და გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლას.

დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება "F"-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განმეორებით შეისწავლოს სასწავლო კურსი. მას მხოლოდ აღნიშნულ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში შეუძლია წინაპირობების გათვალისწინებით მასზე ბმული სასწავლო კურსების გავლა. "F"-ით შეფასებული სტუდენტი ერთი და იმავე საგნის განმეორებით შესწავლის რაოდენობაში არ არის შეზღუდული;

სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასებად ჩაითვლება მისი ბოლო შედეგი;

Fx შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არა ნაკლებ 5 დღეში;

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად;

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება F შეფასება.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო დაწესებულებებში, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

კურსდამთავრებულებს შეეძლება დასაქმდნენ:

- სახელმწიფო დაწესებულებებში;
- სახელმწიფო მართვის ცენტრალურ, ადგილობრივ და მუნიციპალურ ორგანოებში;
- საერთაშორისო და ადგილობრივ ფინანსურ კომპანიებში;
- საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

- კერძო სექტორში;
- სადაზღვევო კომპანიებში;
- საბანკო სექტორში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში;
- საფინანსო, საგადასახადო, საბუღალტრო, აუდიტის, საბროკერო და ასევე ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში.

ასევე შეეძლება დაიკავონ ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიათა კონსულტანტის, ფინანსური მენეჯერის, მარკეტინგის მენეჯერის და სხვა მნიშვნელოვანი პოზიციები. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს შეეძლება დააფუძნოს საკუთარი ბიზნესი და უხელმძღვანელოს პროფესიონალთა ჯგუფის მუშაობას ბიზნეს-საქმიანობის პროცესში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი/თავისუფალი კომპონენტების ათვისებით პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხით კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ასევე სხვა მიმართულებითაც, თუკი სხვა მიმართულების მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით წინმსწრებ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით რაიმე სახის წინაპირობა არ არის დადგენილი.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტები	საათები	ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი მუშაობა	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
											I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
	სავალდებულო სასწავლო კურსები																		
1	ინგლისური ენა 1	ENGL 111	5	125	_	45	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
2	კალკულუსი	CALC 111	5	125	15	30	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
3	აკადემიური წერა	ACWR 111	5	125	15	30	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
4	ბიზნესის საფუძვლები	BBIZ111	5	125	15	30	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
5	მიკროეკონომიკა	MICR111	5	125	15	30	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
6	ინფორმატიკა	INFO111	5	125	15	30	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
7	ინგლისური ენა 2	ENGL 121	5	125	_	45	2	3	50	75		5							ინგლისური ენა 1
8	მაკროეკონომიკა	MACR121	5	125	15	30	2	3	50	75		5							მიკროეკონომიკა
9	მათემატიკა ბიზნესისთვის	MATB121	5	125	15	30	2	3	50	75		5							კალკულუსი
10	ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა, დაგეგმვა	BMAN121	5	125	15	30	2	3	50	75		5							ბიზნესის საფუძვლები
11	ინგლისური ენა 3	ENGL 131	5	125	_	45	2	3	50	75			5						ინგლისური ენა 4
12	მენეჯმენტის საფუძვლები	MANO131	5	125	15	30	2	3	50	75			5						წინაპირობის გარეშე
13	მარკეტინგის საფუძვლები	BASM131	5	125	15	30	2	3	50	75			5						წინაპირობის გარეშე
14	ფინანსების საფუძვლები	ACCT131	5	125	15	30	2	3	50	75			5						მაკროეკონომიკა
15	ინგლისური ენა 4	ENGL 141	5	125	_	45	2	3	50	75				5					ინგლისური ენა 3
16	მარკეტინგის კომპლექსი	MACO141	5	125	15	30	2	3	50	75				5					მარკეტინგის საფუძვლები

17	კორპორაციული მენეჯმენტი	CMAN141	5	125	15	30	2	3	50	75					5				მენეჯმენტის საფუძვლები	
18	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	STEB141	5	125	15	30	2	3	50	75					5				წინაპირობის გარეშე	
19	სტრატეგიული მენეჯმენტი	SMAN151	5	125	15	30	2	3	50	75					5				მენეჯმენტის საფუძვლები	
20	ეკონომიკური პოლიტიკა	ECONP151	5	125	15	30	2	3	50	75					5				მაკროეკონომიკა	
21	კორპორაციული ფინანსები	CFIN151	5	125	15	30	2	3	50	75					5				ფინანსების საფუძვლები	
22	საერთაშორისო ბიზნესი	INBU151	5	125	15	30	2	3	50	75					5				ბიზნესის საფუძვლები	
23	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	HMAN161	5	125	15	30	2	3	50	75							5		მენეჯმენტის საფუძვლები	
24	ბუღალტრული აღრიცხვა	ACC161	5	125	15	30	2	3	50	75							5		წინაპირობის გარეშე	
25	საჯარო ფინანსები	PUFI 161	5	125	15	30	2	3	50	75							5		ფინანსების საფუძვლები	
26	ინვესტირების საფუძვლები	INBAS161	5	125	15	30	2	3	50	75							5		ფინანსების საფუძვლები	
27	აუდიტი	AUDI171	5	125	15	30	2	3	50	75								5	წინაპირობის გარეშე	
28	საბანკო საქმე	BANK171	5	125	15	30	2	3	50	75								5	ფინანსების საფუძვლები	
29	საგადასახადო საქმე	TAX171	5	125	15	30	2	3	50	75								5	ბიზნესის საფუძვლები	
30	ორგანიზაციული ქცევა	ORG171	5	125	15	30	2	3	50	75								5	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	
31	საწარმოო პრაქტიკა	PRAC181	10	250	15	60	30	10	115	135									10	სავალდებულო სასწ. კურსები
32	საბაკალავრო ნაშრომი	BACHT181	20	500	-	-	-	-	180	320									20	სავალდებულო სასწ. კურსები
	სულ სავალდებულო სასწავლო კურსების ჯამი		180	4500	405	1020	90	100	1795	2705										
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები:																				
1	კრიტიკული აზროვნების საფუძვლები	PCT120	5	125	15	30	2	3	50	75					5					წინაპირობის გარეშე
2	ბიზნესის სამართალი	BLAW120	5	125	15	30	2	3	50	75					5					წინაპირობის გარეშე
3	კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა	CESR130	5	125	15	30	2	3	50	75					5					წინაპირობის გარეშე
4	ეკონომიკის ისტორია	HECON130	5	125	15	30	2	3	50	75					5					წინაპირობის გარეშე
5	ფინანსური მენეჯმენტი	FINM140	5	125	15	30	2	3	50	75					5					ფინანსების საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები

6	ბიზნეს კომუნიკაცია	BCOM140	5	125	15	30	2	3	50	75				5				წინაპირობის გარეშე
7	საზოგადოებასთან ურთიერთობა	PR150	5	125	15	30	2	3	50	75					5			წინაპირობის გარეშე
8	საერთაშორისო სტატისტიკა	INST150	5	125	15	30	2	3	50	75					5			წინაპირობის გარეშე
9	მცირე და საშუალო ბიზნესი	SMBUS150	5	125	15	30	2	3	50	75					5			ბიზნესის საფუძვლები
10	ბრენდინგი	BREN160	5	125	15	30	2	3	50	75						5		მარკეტინგის კომპლექსი
11	საფინანსო-საბანკო სტატისტიკა	FBS160	5	125	15	30	2	3	50	75						5		სტატისტიკა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
12	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი	STOC160	5	125	15	30	2	3	50	75						5		წინაპირობის გარეშე
13	სადაზღვევო საქმე	INS170	5	125	15	30	2	3	50	75							5	წინაპირობის გარეშე
14	მარკეტინგის მენეჯმენტი	MARK170	5	125	15	30	2	3	50	75							5	ბიზნესის საფუძვლები
15	საცალო ვაჭრობა	RET170	5	125	15	30	2	3	50	75							5	მარკეტინგის კომპლექსი
არჩევითი სასწავლო კურსები																		
1	მეტყველების კულტურა	RETH120	5	125	15	30	2	3	50	75		5						წინაპირობის გარეშე
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	INFO120	5	125	15	30	2	3	50	75		5						ინფორმაცია
3	ფილოსოფია	PHIL130	5	125	15	30	2	3	50	75			5					წინაპირობის გარეშე
4	იმიჯოლოგია	IMAG130	5	125	15	30	2	3	50	75			5					წინაპირობის გარეშე
თავისუფალი სასწავლო კურსები																		
1	ლოგიკა	LOGI102	5	125	15	30	2	3	50	75								წინაპირობის გარეშე
2	ფსიქოლოგია	PSYC102	5	125	15	30	2	3	50	75								წინაპირობის გარეშე
3	საქართველოს ისტორია	HIST102	5	125	15	30	2	3	50	75								წინაპირობის გარეშე
4	ბიზნეს ინგლისური 1	1BENGL102	5	125	_	45	2	3	50	75								ინგლისური ენა 4
5	ბიზნეს ინგლისური 2	2BENGL102	5	125	_	45	2	3	50	75								ბიზნეს ინგლისური 1
6	შესავალი სამართალმცოდნეობაში	INLW102	5	125	15	30	2	3	50	75								წინაპირობის გარეშე
7	პოლიტოლოგია	POLS102	5	125	15	30	2	3	50	75								წინაპირობის გარეშე

8	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა	SIER102	5	125	15	30	2	3	50	75								სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში
	სავალდებულო სასწავლო კურსები		180	4500	405	1020	90	100	1795	2705								
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები		30	750	90	180	12	18	300	450								
	არჩევითი სასწავლო კურსები		10	250	30	60	4	6	100	150								
	თავისუფალი სასწავლო კურსები		20	500	60	120	40	12	200	300								
	სულ		240	6000	585	1380	146	136	2395	3605								



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

კურიკულუმის რუკა

პროგრამის კომპონენტების კომპტენციები	სასწავლო კურსები																														
	ინგლისურიენა1	კალკულუსი	აკადემიურიინგლისური	ბიზნესისსაფუძვლები	მიკროეკონომიკა	ინფორმატიკა	ინგლისურიენა 2	მაკროეკონომიკა	მათემატიკაბიზნესისათვის	ბიზნესისორგანიზაცია, მართვა, დაგეგმვა	ინგლისურიენა 3	მენეჯმენტისსაფუძვლები	მარკეტინგისსაფუძვლები	ფინანსებისსაფუძვლები	ინგლისურიენა 4	მარკეტინგისკომპლექსი	კორპორაციულიმენეჯმენტი	სტატისტიკაეკონომიკასადაბიზნესში	სტრატეგიულიმენეჯმენტი	ეკონომიკურიპოლიტიკა	კორპორაციულიფინანსები	საერთაშორისობიზნესი	ადამიანურირესურსებისმენეჯმენტი	ბუღალტრულიაღრიცხვა	საჯაროფინანსები	ინვესტიციებისსაფუძვლები	აუდიტი	საბანკოსაქმე	საგადასახადოსაქმე	ორგანიზაციულიეფექცია	
დარგობრივი კომპეტენციები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	
დარგობრივი ცოდნა																															
სტუდენტს შეეძლება:																															
შედეგი 1 განსაზღვროს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი თეორიებისა და პრინციპების კომპლექსური საკითხები				x						x		x	x	x		x					x		x			x					
დარგობრივი უნარები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	
სტუდენტს შეეძლება:																															



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

შედეგი 2 პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ტრანსფერული უნარების რეალურ გარემოში გამოყენება; სფეროსათვის დამახასიათებელი ამოცანების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენება																																			
	x																																		
შედეგი 3 ბიზნესის ადმინისტრირების ყველა დეტერმინანტის - მენეჯმენტის, მარკეტინგის და საფინანსო აღრიცხვის პრაქტიკული საკითხების ანალიზი				x																															
შედეგი 4 კორპორაციული ფინანსების და ფინანსური ინდიკატორების განმსაზღვრელი კრიტერიუმების შეფასება, ფინანსების მართვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა და მათი პრაქტიკაში გამოყენება																																			
შედეგი 5 ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად																																			
ზოგადი კომპეტენციები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30					
სტუდენტს შეეძლება:																																			



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

შედეგი 6 კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე (B2 დონეზე), ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენებზე მოძიება და ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით	x			x																														
შედეგი 7 საფინანსო და ფისკალური სექტორების საქმიანობის ანალიზი, შეფასება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება													x	x										x		x	x	x	x	x	x	x	x	
შედეგი 8 ბიზნესის განვითარების ტენდენციების შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა			x		x																			x										
შედეგი 9 ეთიკურ და სოციალურ ფასეულობათა შეცნობა და თანამედროვე ბიზნესის სფეროში მოქმედი პროფესიული იღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა			x	x						x	x				x									x								x	x	



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

პროგრამის კომპონენტების კომპტენციები	სასწავლო კურსები																														
	ინგლისურიენა1	კალკულუსი	აკადემიურიიერა	ბიზნესისსაფუძვლები	მიკროეკონომიკა	ინფორმატიკა	ინგლისურიენა 2	მაკროეკონომიკა	მათემატიკაბიზნესისათვის	ბიზნესისორგანიზაცია, მართვა, დაგეგმვა	ინგლისურიენა 3	მენეჯმენტისსაფუძვლები	მარკეტინგისსაფუძვლები	ფინანსებისსაფუძვლები	ინგლისურიენა 4	მარკეტინგისკომპლექსი	კორპორაციულიმენეჯმენტი	სტატისტიკაეკონომიკასადაბიზნესში	სტრატეგიულიმენეჯმენტი	ეკონომიკურიპოლიტიკა	კორპორაციულიფინანსები	საერთაშორისობიზნესი	ადამიანურიერესურსებისმენეჯმენტი	ბუღალტრულიაღრიცხვა	საჯაროფინანსები	ინვესტიციებისსაფუძვლები	აუდიტი	საბანკოსაქმე	საგადასახადოსაქმე	ორგანიზაციულიეცევა	
დარგობრივი კომპეტენციები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	
დარგობრივი ცოდნა																															
სტუდენტს შეეძლება:																															
შედეგი 1 განსაზღვროს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი თეორიებისა და პრინციპების კომპლექსური საკითხები																															
დარგობრივი უნარები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	
სტუდენტს შეეძლება:																															



შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
HIGH SCHOOL GEORGIA – LLC

შედეგი 6 კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე (B2 დონეზე), ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენებზე მოძიება და ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით																											
შედეგი 7 საფინანსო და ფისკალური სექტორების საქმიანობის ანალიზი, შეფასება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება																											
შედეგი 8 ბიზნესის განვითარების ტენდენციების შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა																											
შედეგი 9 ეტიკურ და სოციალურ ფასეულობათა შეცნობა და თანამედროვე ბიზნესის სფეროში მოქმედი პროფესიული ირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა																											

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი

#	სახელი და გვარი	აკადემიური ხარისხი	აკადემიური თანამდებობა	სასწავლო კურსი	დისერტაციის თემა	მაპროფილებელი ნაშრომები/სახელმძღვანელოები
1	ჭოველიძე ლიანა	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	ბიზნეს კომუნიკაცია აუდიტი	ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების გზები საქართველოს კვების მრეწველობაში	დამხმარე საამქროების და მეურნეობების ორგანიზაცია და დაგეგმვა; გლობალიზაცია-განათლება
2	გოცირიძე მედეა	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებულ პროფესორი	მენეჯმენტის საფუძვლები; კორპორაციული მენეჯმენტი; სტრატეგიული მენეჯმენტი	წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები საქართველოს მანქანათმშენებლობაში	როგორ ვმართოთ ორგანიზაცია
3	კობალავა მარინე	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	მარკეტინგის საფუძვლები; საცალო ვაჭრობა; საზოგადოებასთან ურთიერთობა	სამომხმარებლო ბაზრის განვითარების პერსპექტივები ეროვნულ ეკონომიკაში	მარკეტინგის საფუძვლები; საცალო ვაჭრობა; ელექტრონული პიარი; გლობალიზაციის ეპოქაში; ინვესტიციების მართვა და დაგეგმვა;
4	მიქელაშვილი მერაბი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი	პროფესორი	ბიზნესის საფუძვლები; ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა; საგადასახადო საქმე; მცირე და საშუალო ბიზნესი	საგადასახადო პოლიტიკის პრობლემები საქართველოში	Basics and Principles of Taxation; ბიზნესისა და მეწარმეობის საფუძვლები; გადასახადების არსი და საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები; გადასახადები - თეორია და პრაქტიკა
5	კაკულია ემზარი	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	კორპორაციული ფინანსები საბანკო საქმე ფინანსური მენეჯმენტი	საინოვაციო საქმიანობის რეგიონალური პრობლემები საქართველოში	ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა
6	ხარაზი რევაზი	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ინვესტირების საფუძვლები	პირადი საკუთრება და მისი ადგილი წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში	ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია
7	თოდრაძე გოგიტა	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში საფინანსო საბანკო სტატისტიკა	საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური ანალიზი	Sustainable Energy Statistics in Georgia; დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის მიზეზები და მათი შემცირების გზები ბიზნეს სტატისტიკაში
8	დევიძე თამარი	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; სადაზღვევო საქმე ბულალტრული აღრიცხვა	საქართველო და საბაზრო ეკონომიკა	პერსონალის მენეჯმენტი; ადამიანური რე-სურსების სადაზღვევო საქმე

9	ასლამაზიშვილი ნანა	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	საერთაშორისო სტატისტიკა; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა	მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ეკონომიკურ-სტატისტიკურიანალიზი საქართველოს მაგალითზე	საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემა; საერთაშორისო სტატისტიკა
10	ადვაძე დავით	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკური პოლიტიკა	მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში	მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში; პრობლემები და პერსპექტივები
11	გვიმრაძე არსენა	ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	საქართველოს ისტორია პოლიტოლოგია იმიჯოლოგია	საქართველოს კულტურული კავშირუ	საქართველოს ისტორია; პოლიტოლოგია; საქართველოს სამხედრო ისტორია
12	ყანდარელი თამაზი	ფილოსოფიის მეცნი	ასოცირებული პროფესორი	ფილოსოფია ფსიქოლოგია კრიტიკული აზროვნების საფუძვლები	ჯორჯ სანტაიონას ირაციონალურ-ესთეტიკური კრიტიკა	სოციოლოგიის საკითხები; არმია და რელიგია
13	სილაგაძე ნოდარი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	საჯარო ფინანსები	საბანკო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში	About State Financial Control; Evolutionary Aspects of the Georgian Banking System
14	პირველი სალომე	სამართლის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	შესავალი სამართალმცოდნეობაში ბიზნესის სამართალი	საკუთრების სამართლებრივი რეგულირების ცალკეული ასპექტები საქართველოში	საკუთრების უფლების არსი და მისი სოციალური ბუნება
15	მანდარია მეგი	ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	ბიზნესინგლისური 1 ბიზნესინგლისური 2	მეტაფორის წარმოქმნის სახეები და მექანიზმები	მეტაფორიზაციის ტიპები; დეკონსტრუქციული მეტაფორიზაციის ემოტიური ფუნქცია;
16	პეტრიაშვილი თამარი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ინგლისური ენა 1 ინგლისური ენა 2	„ხედვის“ ფრეიმის შეპირისპირებითი კვლევა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში	ფრეიმის აგებულების სტრუქტურული პრინციპები
17	ადვაძე მაია	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ინგლისური ენა 3 ინგლისური ენა 4	უარყოფის პრაგმატული ასპექტები ქართულ და ინგლისურ ენებში	ლიტერატურა, როგორც ინტერკულტურული დიალოგი უცხო ენის გაკვეთილზე; მოდიფიცირებული ფრაზეოლოგიზმების სწავლების დიდაქტიკური და მთარგმნელობითი ასპექტები
18	შოშიტაშვილი გიორგი	დოქტორანტი	ასისტენტი	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	კონკურენცია მენეჯმენტის სისტემაში გლობალიზაციის პირობებში	ლიდერობა მენეჯმენტის სისტემაში
19	აბრალავა ანზორი	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი	მოწვეული სპეციალისტი	მაკროეკონომიკა; მიკროეკონომიკა; ეკონომიკის ისტორია	ეროვნული ეკონომიკის განვითარება გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე	ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები; ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია

20	ანთია ვახტანგი	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	მოწვეული სპეციალისტი	საერთაშორისო ბიზნესი; ორგანიზაციული ქცევა; კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა	სოციალური ეფექტიანობა, როგორც წარმოების მიზნის რეალიზაციის საზომი	მსოფლიო ეკონომიკის კრიზისი და ქართული რეალობა
21	კერესელიძე შალვა	ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი	მოწვეული სპეციალისტი	ფინანსების საფუძვლები	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და ურთიერთობათა სივრცეში	საკრედიტო სისტემის განვითარების პრობლემა
22	ალფაიძე მანანა	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	მოწვეული სპეციალისტი	მარკეტინგის კომპლექსი; მარკეტინგის მენეჯმენტი; ბრენდინგი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში	მარკეტინგის საფუძვლები
23	თედიაშვილი ზურაბ	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი	მოწვეული სპეციალისტი	კალკულუსი; მათემატიკა ბიზნესისათვის	პოტენციალთა თეორიის შებენიანი ამოცანები	მათემატიკა ეკონომისტებისათვის სახელმძღვანელო
24	მეფარიშვილი ისაკო	ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი	მოწვეული სპეციალისტი	აკადემიური წერა; მეტყველების კულტურა; ლოგიკა	აბო თბილელის წამების სახისმეტყველება	გ.რობაქიძე და "ბედისწერის სიყვარული"
25	ანანიაშვილი ნათელა	დოქტორანტი	მოწვეული სპეციალისტი	ინფორმატიკა; ინფორმაციული ტექნოლოგიები	Solution of a Generalized Problem of Covering by Means of Generic Algorithm	MATLAB უნივერსალური ინტეგრირებული კომპიუტერული მათემატიკური სისტემა

შენიშვნა N1: შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას აკადემიური და მოწვეული პერსონალი ცვალებადია.

შენიშვნა N2: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად ყოველი სემესტერის დასაწყისში შრომის ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვევიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები (აკადემიური ხარისხის მქონე პირები ან პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ ან წარმოადგენენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალს).